**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 179 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 179

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭლირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.



## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილა ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ჩვენ მიერ გამოცემულს წიგნების მყიდველებს მანეთში, თითო აბაზი დაეთმობა.

მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—1).

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

### ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონივრება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზის ქ. № 46. (15—15)

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აზეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

### ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუქლინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴსდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

### ქართველნი მკურნალნი:

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** კლდისუბნის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კაწუბეს ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—17)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.


## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

იაპონელების მოქმედება ლიაოიან-მუკდენთან.—ქ. დალნი.—ჩინეთის რეფორმები.—ვლადივოსტოკის მცხოვრებნი.

ბოლოს დროს ისეთი ცნობები მოდის, რომლებიც ამჟღავნებენ იაპონელების განზრახვას მანჯურიაში. პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონელებს გადმოუყვანიათ მანჯურიაში არა თუ მთელი 13—14 დივიზია თავის სავარაუდო რაზმებით, არამედ 20 დივიზიამდე. საყურადღებოა, სხვათა შორის, ერთის ტყვედ წამოყვანილ იაპონელ აფიცრის ჩვენება: იაპონიამ თავისი ჯარი გააორკეცა, მშვიდობიანობის დროს პოლკში სამი ბატალიონი იყო, ეხლა-კი—ექვსიაო. ომის დაწყების შემდეგ იაპონელებმა გამოიწვიეს სამხედრო ბეგარაზე 226,000 კაცი, სათადარიგო ჯარში ჩარიცხული და მათგან ივლისამდე 80,000 შეგროვილიც იყო. ამას გარდა იაპონიას მშვიდობიანობის დროს მუდმივი სადარაჯო ჯარი ჰყავს 14 დივიზიამდე, რომელშიაც 140,000 კაცი ითვლება. ეს სათადარიგო ჯარი ეხლა ომის ველზე გამოჰყავთ და ადგილობრივ-კი, კუნძულების დასაცველად, სათადარიგო ჯარსა სტოვებენ. ამათ გარდა, საფიქრებელია, იაპონელებს გადმოუყვანიათ ინკოუსთან კუნძულ ფორმოზის სადარაჯო ჯარი, რომელიც ერთ დივიზიას შეადგენს. ეხლა გამოირკვა, ივლისის დასაწყისში რისთვის დაიარებოდნენ იაპონიის კრეისერები და ნაღმოსნები ფორმოზის ნაპირებთან. მაშინ ამბობდნენ, ვითომც იაპონიის სამხედრო გემები მეწამულთა ზღვისკენ მიდიან, რომ რუსის სამხედრო გემებს დაუხვდესო; ის კი არა თუ ფორმოზიდგან ჯარს აცილებდნენ მანჯურიისკენ. რამდენი კაცი გადმოუყვანიათ იაპონელებს დღემდე, ჯერ არ ვიცით დაწვრილებით, ხოლო ზოგიერთა ცნობები გვაფიქრებინებენ, რომ ივლისის ნახევარს იაპონელებს ჰყავდათ ომის ველზე: პირველ ლაშქარში 5 მუდმივი, 5 სათადარიგო და ერთი სადარაჯო დივიზია, ანუ 138,000 მეომარი; მეორე ლაშქარში 4 მუდმივი, 3 სათადარიგო და 1 სადარაჯო დივიზია, ანუ 106,000 მეომარი; მესამე ლაშქარში 3 მუდმივი და 3 სათადარიგო დივიზია ანუ 76,000 მეომარი.

სულ მანჯურიაში უნდა ჰყავდეთ ეხლა 25 დივიზია, ანუ 320,000 მეომარი, 854 ზარბაზნით.

მომეტებული ნაწილი ახლად გადმოყვანილ ჯარის პირველსა და მეორე ლაშქრებს შეჰმატებია, რომლებიც იაპონელების ჯარის მარჯვენა (გენერალ კუროკის ლაშქარი) და მარცხენა (გენერალ ოქუს ლაშქარი) ფრთებს შეადგენენ. ამ გარემოებამ უნდა მიგვახვედროს, რომ იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი გენე-

რალი ოიამა მარჯვენა და მარცხენა ფრთებს მეტად მძიმე და გასაჭირ საქმეს ავალებს. უეჭველია, ორთავენი მუკდენისაკენ გამოილაშქრებენ, კუროკი აღმოსავლეთიდგან და ოქუ დასავლეთიდგან, ხოლო დაკავშირებულნი იქმნებიან გენერალ ნოძუს ლაშქართანაც, რომელიც შუბლის ჯარს შეადგენს და ლიაოიანის სამხრეთად იმოქმედებს. ამ აზრს მრავალი ცნობები ეთანხმება იაპონელების მოწინავე რაზმების მოძრაობის შესახებ. გენერალ კუროპატკინს, რასაკვირველია, ეცოდინება იაპონელების განძრახვა და მოფიქრებული აქვს, როგორ უნდა მოიქცეს, თუ იაპონელები მართლა მუკდენზე გამოლაშქრებას გაბედავენ. (რ. ვ.).

—

ინგლისის გაზეთებს ატყობინებენ დეპეშებით, უცხოელი სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები მიისწრაფიან ლიაოიანისკენ, რადგან ჰგონიათ, ნამდვილი ომი იქ უნდა მოხდესო. იაპონელებს გადაწყვეტილი აქვთ, ერთს დროს დაენცენ მუკდენსა და ლიაოიანსაცო. (რუს.).

—

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ, გენერალ კუროპატკინს გადაწყვეტილი აქვს ლიაოიანი მტერს უბრძოლველად არ დაუთმოსო, და ამის საბუთად, სხვათა შორის, მოჰყავთ მისი აფიციალური მოხსენება, რომელშიაც ნათქვამია, რომ უმთავრეს სიმაგრეებთან რუსის ჯარი მტკიცედ დაუხვდება მტერს, ბევრით მეტიც რომ იყოსო. გენერალმა კუროპატკინმა ისეთი გამაგრებული ადგილი რომ მიატოვა, როგორიც ხაიჩენია, ეტყობა, მტრის შეფერხება საჭიროდ აღარ მიაჩნია, როგორც აქამომდე სცდილობდა. ეხლა რუსის სარდალს ძალ-ღონე მოუკრებია და იმედი აქვს გამარჯვებისა. ხოლო დიდს ომამდე რავდენიმე კვირა კიდევ გაივლის, რადგან იაპონელებს კარგი მომზადება უნდათო. (ნოვ.).

—

იაპონელებმა ხაიჩენს 20,000 ჯარის კაცი დასტოვეს. ჩვენი ჯარი რომ მიუახლოვდებათ სადმე, ისინი განგებ გაყუჩებულნი არიან და თოფსაც კი არ ისვრიან. ჩვენს ჯარს ისინი გან-განს უვლიან და ჰგონიათ, რომ ჩვენებს მოიმწყდევენ. აღმოსავლეთის მხარეს მდინარე ტაიძიზე, 60 ვერსის სიშორეზედ მუკდენიდგან და 40 ვერსის სიშორეზედ იანტაიდგან იაპონელები რვა ხიდს აკეთებენ. ეტყობა, ამ მხრიდგან აპირობენ დასხმას. (რ. ს.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იუწყებიან, 22 ივლისს დიდი წვიმა მოვიდა, რომელმაც მთელი ლიაოიანი ერთბაშად ჭაობად გადააქცია და გზები სულ წალეკა. (რუს.).

—

«მოსკ. ლისტოკის» კორესპონდენტი იწერება, ლიაოიანი ისეა გამაგრებული, რომ მტერი ვერას გზით ვერ მიეკარებაო. მის გარშემო ორის თვის განმავლობაში ჩვენის საპიორების ხელმძღვანელობით, ძლიერი პორტები გაკეთდა. მომეტებულად ჩინელები მუშაობდნენ, არა თავის სამშობლოს სიყვარულით, რასკვირველია, არამედ კარგის ფულ-ფასის გამო. ყოველ მუშას დღეში ეძლეოდა ათი შაური და ამ ფასმა მრავალი ჩინელი მოიზიდა. წინად მუშაობა ღინჯად მიდიოდა, როდესაც დღიური მუშები იყვნენ, მერე კი ნარდად გასცეს სამუშაო ნაწილ-ნაწილად და მაშინ საქმეს სიცოცხლე დაეტყო. ზოგი მუშა დღეში 5 მანეთამდე იღებდა. ამ რიგად 4 თვის სამუშაო 3 კვირაზე გაათავეს.

—

ქ. დალნი რუსის ჯარს ისე ჩუმად დაუცლია, რომ მცხოვრებლებს ვერც კი გაუგიათ. ერთს მშვენიერს დილას (14 მაისს) წამომდგარან და გაოცებულან: იაპონელები თავს ადგნენ. ზოგი ნაცნობი ყოფილა და ზოგიც მაშინ გამოემცნაურნენ ერთმანერთს. ქალაქის უფროსის მეჯინიბე დილით ადრე მისულა სასახლეში, რომ ბატონის პრძანება გაეგო, ხომ არსად ინებებს წაბრძანებასო. შესულა დარბაზში და უნახავს, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები მაგიდას შემოსხდომიან და საუზმეს მიირთმევენ. ერთი სტუმართაგანი—აფიცერი ნაცნობი გამოდგა, თურმე ვლადივოსტოკში დამეგობრებულან. აფიცერმა მეგობრულად სალამი მისცა, თავის ამხანაგებს წარუდგინა და საუზმედ მიიწვია. საკი გადაჰკრეს და გაიხსენეს, ერთად რომ მუშაობდნენ გემებზე, როგორც ბარგის მზიდავნი. მეგობრულ ლაპარაკით გული რომ მოიოხეს, აფიცერმა უთხრა თავის მეგობარს: ჩვენ ეხლა ცოტანი ვართ, ხოლო მალე ბევრნი მოვლენ და წადი ჩქარა, თავს უშველე, არა ავიტეხონ-რაო. ამასაც ეს უნდოდა. გამოვიდა და პორტ-არტურის გზას დაადგა...

დალნიში ელექტრონული სადგური აღუდგენიათ, მანქანები მოუმართავთ. 140 ვაგონი შეუსწორებიათ. რკინის გზის სადგურიც აღუდგენიათ და კიევის პროსპექტზე იაპონელებს სავაჭრო მაღაზიები გაუღიათ (ხარ. ვესტ.).

—

ვლადივოსტოკის კომენდანტს გამოუცხადებია, რომ ქალაქში მცხოვრებლებმა ან ეხლავე იშოვონ თავის სარჩენად 8 თვის განმავლობაში სამყოფი სურსათი ან არა და ქალაქი მიატოვონ. ამის გამო მცხოვრებლები იხიზნებიან ნიკოლსკ უსურისკსა და სხვა ადგილებში. უსურიის მხარეში. ამავე ადგილებსა და სადგურ კეტრიცევოს გადადიან ვლადივოსტოკიდგან უსურიის რკინის გზის სამმართველოს სხვა და სხვა განყოფილებანიც (ტორ. პრ. გაზ.).

—

ტოკიოდგან იწერებიან, მოხუცი იმპერატრიცა დათანხმდა, ჩინეთში ძირითადი რეფორმები შემოიღოს. ინგლისისა და იაპონიის მინისტრებთან დაახლოვებულმა მანდარინებმა დაარწმუნეს, რომ ჩინეთს მხოლოდ სახელმწიფოს ცხოვრების გადაკეთება იხსნის. ცნობილი რეფორმატორი და იმპერატორის მეგობარი კანგ-იუვეი, რომელიც ამ ექვსის წლის წინად ჩინეთიდგან გაიქცა და ინგლისში სცხოვრობდა, რადგან სამშობლოში რეფორმების მომხრეობისათვის სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, კვალად დაბრუნდება ჩინეთს, იმპერატრიცის ნებართვით, და ინგლისის თავდებობით ერთს ვიცე-კოროლის მოხელედ გამწესდება (პ. ვ.).

# ტ ფ ი ლ ი ს ი

—

*** მთავარმართებლის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალმა ა. ა. ფრეზემ, მილოცვის დეპეში გაუგზავნა კავკასიის მცხოვრებთა და ჯარის სახელით მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფა დედოფალს მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის დაბადების გამო. პეტერგოფიდან გენერალმა ფრეზემ უმაღლესი დეპეში მიიღო მისის უდიდებულესობისაგან შემდეგის შინაარსისა:

„ტფილისი. ინფანტერიის გენერალს ფრეზეს.

„ხელმწიფა იმპერატრიცა და მე გულითად გმადლობთ თქვენ, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებსა და კავკასიის მცხოვრებთ მოლოცვისა და კეთილ გრძნობათა გამოთქმისათვის“.

„ნ ი კ ო ლ ო ზ ი“.

გენერალ ფრეზეს-მიერ გაგზავნილი დეპეში შემდეგის შინაარსისა იყო:

„პეტერგოფი“.

მის იმპერატორებით უდიდებულესობას. კავკასიის სხვა და სხვა ტომის მცხოვრებნი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები გულითად მოლოცვას გიძღვნიან მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების გამო და აღავლენენ უზენაესადმი მხურვალე ლოცვას თავიანთ საღმრთებელ მონარქისა და უსაყვარლეს ხელმწიფე დედოფლის სადღეგრძელოდ. ვბედავ მეც, ხელმწიფეო, შევუერთდე მთელის ხალხის საერთო ხმას და მოგილოცოთ რუსეთისათვის ესოდენ სასიხარულო ამბავი.

# საქართველოს ამბები

—

*** ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასებში მისაღები ეგზამენები მოჰხდება 25-სა, 26-სა და 27 აგვისტოს. გიმნაზიაში შესვლის მსურველთა თხოვნებს მიიღებენ 20 აგვისტომდე.

გიმნაზიის მოწაფეთათვის დანიშნული დამატებითი ეგზამენები მოჰხდება 23 აგვისტოს.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის განკარგულებით, ტფილისსა და თიანეთს შუა ამ ჟამად გაჰყავთ ახალი გზა-ტკეცილი. ახალი გზა იწყება წილკნის სადგურის მახლობლად (სადგურიდან 6 ვერსია). არაგვზე აგებენ ახალ ხის ხიდს, რომელსაც რკინის ბოძები ექმნება. აქედან ჟინვალამდე ძველ გზას შეაკეთებენ, ხოლო ჟინვალიდგან თიანეთამდე სულ ახალს გაიყვანენ. («ცნ. ფ.»).

*** გორის მაზრის უფროსმა წარმოუდგინა ტფ. საგუბერნიო სამმართველოს ცნობები გორის მაზრის ხცისის სასოფლო საზოგადოების ოთხს სოფელში 30 მაისს მოსულ სეტყვისაგან დაზარალებულ მამულთა შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სულ დაუსეტყვავს 54 დესეტინა პურით ნათესი ადგილი და $71\frac{1}{2}$ დესეტინა ვენახი. ზარალი უდრის 4,670 მანათს.

*** სამთო დეპარტამენტის დავალებით, ინჟენერს სერგეევს გამოუკვლევია მჟავე წყლები დუშეთის მაზრაში, საქართველოს სამხედრო გზის სადგურ კობსა და გუდაურს შორის, და მეტად კარგი აზრი შეუდგენია ამ წყლების ღირსებაზე; «ამისთანა მჟავე წყლებიო,—ამბობს ბ-ნი სერგეევი,—არც ჩვენში, რუსეთში, და არც საზღვარ-გარედ არ მოიპოვება ჯერჯერობითო. წყლები ბევრგან გამოდის თურმე და, ყველა ამ წყაროების სათავეები რომ ერთად შეართონ, იმდენი სამკურნალო წყალი გამოვა, რომ დღე-ღამეში რამდენისამე ასი ათას ვედრა წყლის ამოღება შეიძლებაო.» კობის წყაროებზედ ჯერ კიდევ 1895 წელს პროფესორი ს. ზალესკი ამბობდა, რომ ეს წყაროები შეუდარებელ სამკურნალო წყალს იძლევაო. (ნოვ. ობოზრ.).

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინჟენერს ე. შილლერს ნება დართო, გაჰმართოს ერევანსა და გუმბრში ტელეფონის მავთულები.

**ხიზაბავრა** (ჯავახეთი). ამ დღეებში ნება დართო მთავრობამ, რათა ადგილობრივი ერთ-კლასიანი სკოლა გაორკლასიანდნეს (ორთავე სქესისაა) და ამას მიემატოს ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც, რისთვისაც მთავრობამ დაუნიშნა ხაზინიდან 640 მან. აძლიოს მომეტებულ მასწავლებელთა ჯამაგირები: ზედამხედველ მასწავლებელს 400 მანეთი წელიწადში და 120 მანეთი ხელ-საქმის თვითეულს მასწავლებელს ქალს. უკანასკნელთ თვითოეული მოსწავლე ქალი ნახევარ კოდს (ნახევარ ფუთს) ხორბალსაც აძლევენ წელიწადში და თითო საპალნე შეშას. ამ გვარად მომავალ ენკენისთვიდან ჩვენი სკოლა ორ-კლასიანად გაიხსნება საპროფესიონალო ქალთა განყოფილებითა.

ახალი ქვის შენობა სკოლისა უკვე მზადაა. 3,000 მან. დაჯდა. 3 დიდი ოთახია დერეფნიანურთ. უდიდეს ოთახში კარგად მოთავსდება 3 განყოფილება 70—80 ბავშვიანურთ და მეორე ოთახში IV და V განყოფილება 50 ბავშვიანურთ. მესამეში უცოლ-შვილო ორი მასწავლებელი ყმაწვილი კაციც კარკად მოთავსდებიან. აქავე მეორე ქვის ახალი შენობაც აშენდა, რომელშიაც 4 ოთახია. დიდი ოთახი სახელსაქმოთ ქალიშვილებისათვის, რომელშიაც 50 ბავშვი მოთავსდება და სამი ოთახიც მასწავლებელ ქალთათვის. შეიძლება აქედგან ერთი ოთახი მეორე მასწავლებელმაც იმაროს, თუ ერთ ოთახში ორნი ვერ მოთავსდებიან.

უკანასკნელ შენობას სტეფ. ზუბალაშვილმა 1,000 მან. შესწირა და ტფილისის კათოლიკეთა მღვდელმა პატრმა დომინიკე მულაშვილმა 200 მან.

სასურველია, ზედამხედველი მასწავლებელი ქართულის ენის მცოდნე იყოს სკოლის დასაწინაურებლად.

წრეულის აქეთ კარგი მოსავალი უნდა დარჩეს, თუ ღმერთმა შეინახა მავნეობისაგან. მტკვრის ხეობაში ხეხილები კი გაასცივა მაისის 16-ის სიცივე-თოვლმა და ამის გამო დიდად დაფიქრებულნი არიან მკვიდრნი.

ამას წინად (გაზეთებშიაც იყო) ოშორელი მამასახლისი მოჰკლეს. ამის გამო შეპყრობილია სარქის ბალიაშვილი, რომელსაც თურმე ედება ბრალი მოკვლისა. როგორც ამბობენ, შეპყრობილს თარაქამებიც ჰხლებია თანა.

მესხი კ. გვარამაძე.

# წ ე რ ი ლ ი

## რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ «ივერიის» მე-174 ნომერში დაბეჭდილია წერილი გელათის გაძარცვის შესახებ ვილაცა ს. კ—ძესი, რომელიც სრულებით უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მკიცხავს და რაღაცა სამდურავებს მდებს. საჭიროა სიმართლის გამოქვეყნება, ამისათვის, იმედია, არ დამიჭერთ ალაგს თქვენ გაზე-

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

**ძველი და ახალი სამღვდელოება** *)

(უბირის კაცის შენიშვნები და მოსაზრებანი).

ვინც კი სოფლისა თუ დაბა-ქალაქების სულსა და მოუძლურებულ მაჯის ცემას ადევნებს თვალ ყურს, იმან უსათუოდ იცის, რომ ჩვენმა ხალხმა (განურჩევლად წოდებისა) გონება-ქონებასთან სარწმუნოებაც დაჰკარგა. ეს სულისა და გონების ალმაშფოთებელი ამბავი, ვგონებ, დაფარული აღარავისათვის აღარ უნდა იყოს, რადგან ზოგიერთებმა ბეჭვდითაც კი გამოაცხადეს და მიჩუმდნენ, თითქო რაღაც მოჭორებული ამბავი ითქვა, ჩაიარა და გაიარაო. რადგან ეს თავზარ დამცემი ამბავი ადვილად მისაფუჩეჩებელი არ არის, ამიტომ დიდი და პატარა, მღვდელი და ერი ერთის ძალითა და ღონით უნდა შეებრძოლნენ და გონივრულის მოსაზრებით უნდა დაიხსნან ხალხი გადაგვარ-გადაშენებისაგან.

ეს სიტყვები ბევრ ურწმუნო თომას სიცილადაც არ ეყოფა. დეე, რამდენიც ენებოს, იცინოს, მაგრამ მე-კი ვიტყვი, რომ დღემდის თუ ერი ერობს, ქართველი ქართველობს და მშობლიურ ენაზედა საუბრობს, ეს სარწმუნოების მოწყალებაც გახლავთ. მართალია, სარწმუნოებრივმა ბრძოლამ მილიონობით ხალხი შეიწირა, მათ შორის ბევრმა მოწამებრივი გვირგვინი დაიდგა, ერმა მაინც სჯულსა და სარწმუნოებას ზურგი არ აქცია. გადაათვალიერეთ ციხე-კოშკები, მონასტრები, სადაც ათასობით მოეყარნათ თავი მამათა და ძმათა, როგორც ღვთის სადიდებლად, ისე საუკეთესო მამულიშვილების აღსაზრდელია. მათი სარწმუნოებრივი ხმა ჰქუხდა და კლდენი და ღრენი ბანს აძლევდნენ. თუ მონასტრებში ეს ამბები იყო, არც სოფლის სამღვდელონი ისხდნენ გულ-ხელ დაკრებილნი. უშველებელი დარბაზები ანუ კარმიდამო სავსე იყო მოსწავლე ქალვაჟებითა, რომელნიც რიგისამებრ ისხდნენ გძელ სადა სკამებზედ, მუხლებზედ გამურული ქაღალდის ნაგლეჯები ედოთ, ხელში ჩხირები ეჭირათ და ზოგი ანა-ბანასა კითხულობდა, ზოგი ტექსტს: «უფალო, ღმერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუვლინე მონასა (ანუ მხევალსა) შენსა, რათა ისწავლოს წერა და კითხვა, გაქოს და გადიდოს, მიეც შენი შიში და გულის ყური. ამინ». ზოგნი ანბანის მარცვლებსა სთვლიდნენ, მაგალითად ა ერთი, ბ ორი, გ-სამი, დ ოთხი, ა ერთი ფული, ი ორი ფული, კ ექვსი ბისტი, რ ორი შაური, ს ერთი აბაზი, ტ ექვსი შაური, უ ორი აბაზი, ფ ათი შაური, ქ სამი აბაზი, ღ თოთხმეტი შაური, ყ ოთხი აბაზი, შ თვრამეტი შაური, ჩ ერთი მანეთი და სხვა. ამავე დროს ზოგს დაფა და გრიფილი ეჭირა და სწერდა და ზოგს რომელისამე ცხოველის ბეჭი ედო და გამოლესილ ნახშირით ან ბალახებისაგან შეზავებულ ფერადის მელნითა სწერდა ან-ბანს.

ყველანი ხელთნაწერითა სწავლობდნენ. იშვიათად შეჰხვდებოდით დასტამბულ წიგნებს, გარდა ჟამნ-დავითნისა. ბევრნი ამ ჟამნ დავითნსაც ძველის ძველ ხელთნაწერში აკითხებდნენ, თვალს გაიტეხს და კარგიაო. დავითნის სწავლება იწყებოდა მაშინ, როდესაც ყველა საუფლო ლოცვები ზეპირად ეცოდინებოდათ. რაკი ჟამნ-დავითნს საფუძვლიანად შეისწავლიდა, მაშინ აძლევდნენ ნებას ეკკლესიაშიაც მღვდელ-დიაკვანს მოჰხმარებოდა. ამ წერა-კითხვასთან უსათუოდ გალობასაც ასწავლიდნენ. ქალებს მღვდელ-დიაკვნის ცოლები ჭრა-კერვასა და განსაკუთრებით ფას-დაუდებელ ხელ-საქმესაც ასწავლიდნენ, მაგალითად, აბრეშუმის წინდა-პაჭიჯს (რასაკვირველია, საძღვნოდ), ქისებს, ყაითნებს, და განსაკუთრებით მშვენიერის ხელოვნებით ნაქსოვ ქართულს ასოებს აქსოვდნენ, ზოგჯერ ლექსადაც. ამ სწავლებისათვის სასყიდელს არავინ იღებდა, მხოლოდ მღვდელ-დიაკვნის ცოლები, იღებდნენ ისინიც მაშინ, როდესაც ქალი გათხოვდებოდა, რასაც საოსტატოს ეძახდნენ და სასიძოს ანუ მეჯვარეს უნდა გადაეხადნა, რითაც კი შესჯერდებოდნენ.

მაშინდელი ქალი ნამდვილი დედა იყო ოჯახისა. ასე შინაურად ნასწავლმა არა ერთმა და ორმა ერის კაცმა შეიმოსა მღვდელობა, არა ერთი და ორი აღიკვეცა ბერად. ამ ბეჯითობისა და მეცადინეობის გარდა, სხვა საქმეც ბევრი ჰქონდათ სახლში თუ გარეთ. მაგალითად, ხვნა-თესვა, შეშა ფიჩხი, ვენახის მუშაობა. როგორც თავისათვისა მუშაობდა, ისე გაჭირვებულ ოჯახს ჰშველოდა. ბევრჯელ მონახავენ თავ-წაკრულნი პერანგის ანაბარა მღვდელ-დიაკვანნი ნამგლით ხელში გაცურებულნი ოფლში. ფრჩხილი რომ წამოსტკივებოდა ვისმე, მღვდელ-დიაკვანნი ავადმყოფს უსხდნენ აბგით ხელში, და რაღაც ბალახბულახს უდუღებდნენ, ანუგეშებდნენ: დალიე, დალიე, ჩემო თედო, ოფლი მოგივა და ღვთით კარგად შეიქმნებიო.

დიაღ, მაშინდელი მღვდელი ყველაფერი იყო სოფლისათვის, ყველას ჭირსა და ვარამს თავის საკუთარ ჭირათა და ვარმათა სთვლიდა, სოფელს ჩაფარივით უვლიდა. თუ საჭირო იყო, ქუდზედ კაცი გამოჰყვანდა, თვითონაც წინ მიუძღოდა თოხითა და ბარით და ღარიბ ოჯახს მალამოსავით ზედ ეგლისებოდა. აკი მღვდელიცა და ერიც ერთმანეთის მზესა ფიცულობდნენ! აკი ერთსაცა და მეორესაც ოჯახები სავსე ჰქონიათ.

შეადარეთ ეხლანდელი მღვდელი მაშინდელ მღვდელს. სად იყო ჯამაგირები? სად იყო 10 მანეთი ჯვრის საწერი, 3 მანეთი წინ-გასაძღოლი, 10 და 15 მანეთი ორმოცის წირვაში? სადა თქმულიყო და სად გაიგონებდით მღვდელს მანეთიდგან 3 მანეთამდე მონათვლაში აეღო? სადა ჰნახავდა ბედნიერ დღეში მილოცვისათვის მანეთი და ორი მანეთი მიეცა ვისმე, აგრეთვე საპარაკლისო და სხვა-და-სხვა. მაშინდელი მღდელი ნამდვილი ქრისტეს მოადგილე იყო, როგორც სიტყვით, ისე საქმითა და მოქმედებით. იმათ სიკეთესა და ადამიანურ ადამიანობას ვერც-კი ჩამოსთვლის, ძლიანაც რომ ეცადოს კაცი.

დღევანდელი მღვდლების ანგარება კი თვალ-წინ გიდგია ნათლობაში წართმეულის თუნგებით. მთელი სასამართლოები სავსეა სოფელზედ მათის საჩივრებით. ჩვენებური გლეხი, მართალია, სწავლაცოდნით უკანაა ჩამორჩენილი, მაგრამ ავისა და კარგის გაგება კიდევ შერჩენია. გლეხის ოჯახი ბატონ-ყმობამდის ბატონის ყურ-მოჭრილი ყმაიყო რისხვაც ბევრი გამოუვლია მის ხელში და წყალობაც, მაგრამ ოჯახი კი ისე გამოფხეკილი არას დროს არა ჰქონია, როგორც დღეს. რა იყო ამისი მიზეზი, ან სად უნდა ვეძებოთ? ბატონ-ყმობის გადავარდნამ ისე გაამხიარულა, რომ სიხარულით ქუდი ჰერსა ჰკრა და „არიალალი-თარიალალი, ბატონ-ყმობა აღარ არი“ შემოსძახა. რაღას დიდგულობ, ავალო, შენი ყმა აღარა ვარო და სხვა. ეს სიხარული ოცნებათ რათ გადაექცა, რატომ ფთები არ გაშალა გლეხის ცხოვრებამ, რა გადაეღობა წინ? აი საჭირ-ბოროტო, ასახსნელი საგანი, რომელსაც ყველა თავისებურათა ჰხსნის. ღმერთმა თავის უფალი დაბადა ადამიანი და, ვისაც რა უნდა, ისა სთქვას და მეკი, თუნდა სახრჩობელაზედ ამიყვანონ, ვიტყვი, რომ გლეხს მაშინ ერთი ბატონი ჰყვანდა და დღეს კი ჩამოთვლითაც ვერ ჩამოსთვლის. მაშინ იმოდენა მამული ეჭირა, რომ ერთ მხარეს რომ ოცი და ოცდა ათი დღისა მოეხნა, მეორე მხარეს ამდენსავე მოუხნავს სტოვებდა მეორე წლისათვის.

(შემდეგი იქნება).

*) ჩვენ ზოგი ერთნი მღვდელნი გვყვანან გათვალისწინებულნი და არა ნთლად სამღვდელოება.

თის უმახლობელეს ნომერში საპასუხო წერილისთვის.

ს. კ—ძე სხვათა შორის ამბობს: «თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. დიახ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, სწორეთ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის, საიდან მოსულს ბიჭ-ბუჭებსაც კი უჩვენებდნენ მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმარი-ხახა მშრალი გაუშვეს!!.—მოყვანილი სიტყვები თავიდამ ბოლომდე სრული სიცრუე და უტიფრობაა. პირველსავე მისვლაზე გელათის მონასტერში ბეჯითად უბძანე, ვისდამიც ჯერ არს, რომ ჩემ ნება დაურთველად ძველი ნაშთები სალაროში არავისთვის არ ეჩვენებიათ და ვისაც ჩემი ნებართვა ექნებოდა, იმათთვისაც მხოლოდ უნდა დაენახვებინათ შუშის შკაფში დაწყობილი ნივთები, შკაფის გაღება სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული. ეს განკარგულება ჯეროვანადაც სრულდებოდა: ჩემი ბარათის მიღების შემდეგ გაუღეს სალარო: ყ-დ სამღვდელო კირიონს, კნეინა მაჩაბლისას, კნეინა წერეთლისას, ეს გარემოება უნდა მოეხსენებოდეს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, დიდად პატივცემულს თ. აკაკი წერეთელს), ბატონს ალ. ხახახანაშვილს, უმაღლესის სასახლის ხუროთ მოძღვარს სვინინს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მხატვრობის მასწავლებელს კრასნუხას და სხვებსაც მრავალთა, რომლების სახელების ჩამოთვლა, რასაკვირველია, არ შემიძლია. ამ მოკლე დროში დაათვალიერეს გელათის სალარო სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ და მღვდ. პ. კარბელაშვილმა და მათ შესახებაც წინდა წინ სიტყვიერად მქონდა ნათქვამი ბერებისთვის, რომ ყველაფერი ეჩვენებიათ. შესაძლოა, ხანდისხან არღვევდნენ ამ განკარგულებას, მაგრამ აქედან, ვგონებ, ის დასკვნა არ გამოდის, რომ მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ დამენახოს გზა და დაგვიანებული განკარგულება მომეხდინოს. რა წესები იყო ჩემამდე, ყველას უჩვენებდნენ თუ არა ძველ ნივთებს, ამისი მე არა ვიცი რა და არც ვსაჭიროებ გაგებას. აი ნამდვილი გარემოება საქმისა და ვერ გამიგია, რა მოსაზრებით მიუმართავს ს. კ—ძეს სიცრუისთვის და რათ შეუწუხებია თავი ჩემთვის გაკვეთილის მოცემით რაღაცა კონტრასტის შესახებ! „საგონებელი იყო, ბძანებს კიდევ ს. კ—ძე, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და დარაჯებს დააყენებდნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა დაგდებული!! რჩევისათვის, რომ ჭკუა ვისწავლო, გულ წრფელად ვმადლობ დარბაისელ დამრიგებელს, მაგრამ კიდევ იძულებული ვარ გავიმეორო, რომ მოყვანილი სიტყვებიც სიცრუის მხრით ახასიათებენ ს. კ.—ძეს. კორესპოდენტს შეუძლია მიბძანდეს ქუთაისის გუბერნატორთან და მისგან პირადად გაიგოს, როდის და რა ზომები იყო ჩემის მხრით მიღებული, რომ გელათის მონასტერს მისცემოდა უკლებლივი დარაჯი და რითი დათავდა დღეს ეს ჩემი თხოვნა-მეცადინობა. თუ პატრონობა არ გამიწევია მონასტრისათვის, გუბერნატორი ხელს არ დამაფარებს და მაშინ ს. კ—ძემაც ჯვარს მაცვას! ვისაც გელათის მონასტრის დღევანდელი გარემოება კარგათ აქვს შესწავლილი, იმისათვის სრულებით ცხადი და აშკარაა, რომ ამ მონასტერს არას გზით არ შეეძლო, არ შეუძლია და, თუ იგივე პირობები დარჩა, არც მომავალში შეეძლება, ნამეტანი სიღარიბის გამო, იყოლიოს დღისით და ღამით ყარაულები. მართალია, ს. კ—ძე ბძანებს «იმდენი სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური არ ჰყავდა დღისითო», მაგრამ, ალბად, სიმდიდრედ ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს ძველს ძვირფას ნივთებს და ამ ნივთებს თუმნიანი თქრომები ხომ არ ჰსცვიოდათ, რომ მონასტერს ამითი დაექირა ებგური და სხვა სალსარი კი, როგორც მოგახსენეთ, მონასტერს არ მოეპოება.

ს. კ—ძეს საუმჯობესოდ მიაჩნია ძველი ნივთების წაღება მუზეუმებში. ბატონი ბძანდებით, წაიღეთ, მაგრამ იქ კი სიმთელით იქნებიან დაცულნი? მოგახსენებთ - არა და ამისი მტკიცე საბუთიც ხელთ მიჭირავს.

აღნუსხავს რა დაკარგულ ნივთებს, ს. კ—ძე სწერს: «წაღებული აქვთ სამი თეფში (ერთი მათგანი ბარძიმია $2^1/_4$ გირვანქა სულ წმიდა ოქრო იყო, ძვირფასი ქვებით მორთული.»)

ს. კ—ძეს წარმოდგენით, თეფში და ბარძიმი ერთი და იგივეა. ვაი ჩვენ უბედურობას და სარწმუნოებრივ სიბნელეს! კაცი, რომელიც ინტელიგენტისა და ქრისტიანის სახელს ატარებს, იმდენად უვიცია სარწმუნოებისა და გულ გარეცხილი ეკკლესიურ ცხოვრებაზე, რომ ვერ გაურჩევია ერთი მეორისაგან თეფში და ბარძიმი! აი სატირალი და საგოდებელი ეს სარწმუნოებრივი გაველურებაა, რადგანაც ამან, მხოლოდ ამ სარწმუნოებრივის გრძნობის უქონლობამ გახადა შესაძლოდ გელათის სიწმინდავეთა შეგინება და არა უებგურობამ! მერწმუნეთ ასეა, ბატონო ს. კ—ძე!

ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აგვისტო.

**მუკდენი.** (საგ. საკუთ. კორესპ.) როგორც ჩინელები იუწყებიან, სინმინტინის ოლქში ხუნხუზთა მეთაურებმა ციიძუშანმა, ტულისანმა და ფოლინოგომ, იაპონელთა ხელმძღვანელობით, შეადგინეს ბრბოები, რომლებშიაც ათას-ათასი კაცია. თვითეულ ბრბოში ასი იაპონელია სამთო ზარბაზნით. ეს ბრბოები მდ. ლიაოხეს ხეობით მიდიან ზევით ჩვენ რკინის გზაზე დასაცემად.

**ტოკიო.** (რეიტერი). 29 ივლისს, დილით, გემმა «იოკაიმარუ»-მ გაშლილ ზღვაში, კორეის ნაპირის მახლობლად, კუნძულ ქიგიევისთან, შენიშნა რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი, რომელიც დასავლეთისკენ მიდიოდა. «იოკაიმარუ» მოემზადა ნაპირზე გასარიყად, მაგრამ კონტრ-ნაღმიანმა გემმა ხელი არ ახლო. რუსის გემი, აშკარაა, სცდილობდა პორტ-არტურში მისვლას; იგი უთუოდ დანარჩენ ესკადრას ჩამოშორდა 28 ივლისის ბრძოლის დროს.

**შანჰაი.** (რეიტერი) «ასკოლდი» ნაშუადღევის 3 საათზე მოვიდა. გემზე ადმირალის ფლაგი ფრიალებს. «ასკოლდ» ს მოგდებული აქვს ორი საკვამლე მილი და, საზოგადოდ, ძალიან არის დაზიანებული; უკანა კოშკი სრულიად განადგურებულია. გემი შეუდგა შეკეთებას დოკში. ჩინეთის გუბერნატორმა წინადადება მისცა «ასკოლდ»-სა და «გროზოვოი» ს, 24 საათის შემდეგ წავიდნენ ნავთ-სადგურიდან. «ასკოლდ»-ის უფროსმა აცნობა, გემი ძალიან არის დაზიანებული, ზღვაში ვერ ივლის და ამიტომ შეკეთებამდე დავრჩებითო.—ადგილობრივი ნავოსნობა დიდათ შეშინებულია. დამზღვევი საზოგადოებანი დაზღვევას აღარ კისრულობენ. იმ აზრისანი არიან აქ, რომ რუსები ჩინეთის ნეიტრალიტეტს არღვევს, რადგან შანჰაის თავის გემების შესაფარებლად ხმარობსო.

**ჩიფუ.** (რეიტერი) იაპონელების სიტყვით, ზღვაზე შეტაკების დასაწყისში იაპონელთა ოთხი გემი ებრძოდა რუსის გემს. იაპონელებს მალე მაშველი გემები მოუვიდათ. «ცესარევიჩ»-ს ნაღმით მოჰგლიჯა საჭე. ყუმბარებმა სხვა ზიანიც მიაყენეს. რუსის გემებმა ნახშირი მიიღეს სამ ინგლისელთა გემისაგან. ეს გემები ცინდაოში იდგნენ. 4 ნაღმიანი გემი, უთუოდ იაპონიისა, სადამოთი ჩიფუს ნავთსადგურში შევიდა, ერთი კრეისერი ნავთ-სადგურ გარედ დარჩა. ეს კრეისერი და ერთი ნაღმიანი გემი ნიშნებით გამოელაპარაკნენ ჩინეთის ადმირალის გემს.

**პეკინი.** (რეიტერი) ხმა დადის, რომ გაშლილ ზღვაში ცინდაოსთან ბრძოლა მოხდა.—რუსისა და იაპონიის მისიები და აგრეთვე ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო არავითარ ცნობებს არ იძლევიან ომის შესახებ. ჩიფუში იაპონიის მოქმედების შესახებ დიპლომატები კორესპოდენტებთან ლაპარაკსაც კი ერიდებიან. ერთმა დიპლომატმა განაცხადა: იაპონელებმა შეიპყრეს რუსის ნაღმიანი გემი ნეიტრალურ ნავთსადგურში; ამით იაპონელებს უნდათ სახელმწიფოებს თავიანთი აზრი გამოათქმევინონ— აქვს თუ არა რუსეთს უფლება სურვილისამებრ ჰგზავნოს თავისი გემები ნეიტრალიურ ნავთსადგურში.»

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: «საერო განათლების სამინისტროს გამგეს გენერალ-ლეიტენატს გლაზოვს ყოვლად უმოწყალესად ვუბრძანეთ იყოს საერო განათლების მინისტრად.

მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსეი ნიკოლოოზის ძე დაინიშნა ყველა ყაზახთა ჯარების ატამანად.

ბიულეტენი მისი უდიდებულესობის ჯანმრთელობის შესახებ: „მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ღამე კარგად გაატარა. ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია. მემკვიდრე ცესარევიჩმაც გასული დღე კარგად გაატარა.

ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი თავადი ობოლენსკი დაინიშნა გენერალ-ადიუტანტად მის იმპერატორებით უდიდებულესობასთან და იმავე დროს ფინლიადიის გენერალ გუბერნატორის თანამდებობაზე დარჩება.

**ჟიტომირი.** მოხდა სხდომა ვოლინის ძმობისა, რომელმაც განიზრახა აღდგენა რუსეთის უძველესის, ფრიად შესანიშნავი საისტორიო ძეგლის—ოვრუჩის სობოროსი, რომელიც მეათე საუკუნეში მთავარმა წმიდა ვლადიმერმა ააშენა. სობოროს აღდგენა აღთქმად დასდევს ომის კეთილად დაგვირგვინებისათვის და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო უფლისა მიმართ მადლობის გამოცხადებისათვის. ამ ჟამად-კი ეს ტაძარი დანგრეულია.

2 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი მანიფესტი: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვანი, და სხვანი და სხვანი, ვზრუნავთ-რა სიმტკიცით სახელმწიფოს მშვიდობისა და კეთილ-დღეობის დასაცველათა და დასამკვიდრებლად, იმ სახელმწიფოსი, რომელიც უზენაესის განგებით ჩვენა გვაქვს მონდობილი და ვბაძავთ-რა დაუვიწყარ ჩვენთა წინა-მოადგილეთა, ნეტარხსენებულ იმპერატორთა ნიკოლოოზ I-ისა, ალექსანდრე II-ისა, და ალექსანდრე III-ის მაგალითისა, ჩვენს სამღვთო მოვალეობად მივიჩნიეთ ვიზრუნოთ და წინადვე განვსაზღვროთ ის ღონის-ძიებანი, რომელიც უნდა იქმნას მიღებული არა-ჩვეულებრივ შემთხვევაში. ამისათვის, ვგულისხმობთ-რა მემკვიდრისა ჩვენისა, ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის-ძის მცირე-წლოვანებასა, გადავსწყვიტეთ, იმპერიის ძირითადის კანონებისა და საიმპერატორო სახლეულობის დაწესებულების ძალით, დავადგინოთ და გამოვაცხადოთ საყოველთაო საცნობელად შემდეგი: 1-ლი. თუ ვინიცობაა აღსასრული გვეწია იმ დრომდე, ვიდრე უსაყვარლესი ძე და მემკვიდრე ჩვენი მიაღწევს იმპერატორეპისთვის კანონით დაწესებულს სრულ-წლოვანებას, გამგებლად სახელმწიფოსი და მასთან განუყოფელ პოლონეთის სამეფოსი და ფინლიანდიის დიდის სამთავროსი, ვნიშნავთ ჩვენ მისს სრულ-წლოვანებამდე უსაყვარლესსა ძმასა ჩვენსა დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს. 2-ე. ამ აღნიშნულს შემთხვევაში მზრუნველობა სიყრმისა ძისა და სხვა ჩვენის შვილებისა, თითოეულის სრულ-წლოვანებამდე, იმ ძალითა და სივრცით, რაც განსაზღვრულია კანონითა, უნდა იყოს უსაყვარლესის ჩვენის მეუღლის ხელმწიფე-იმპერატრიცას ალექსანდრე თეოდორეს ასულის ხელში. ასეთის ჩვენის სურვილის გადაწყვეტით და სახალხოდ გამოქვეყნებით შესახებ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა მემკვიდრისა ჩვენისა მცირე-წლოვანების განმავლობაში, მოწიწებით პატივის-მცემელი ჩვენის სამშობლოს კანონებისა და წინასწარვე უკუ-მქცეველი ყოველის ეჭვისა ამ საგნის შესახებ, — ვევედრებით უზენაესს, გვაკურთხოსმცა ჩვენ განუწყვეტელსა ზრუნვასა შინა უმეტეს საკეთილოდ მოწყობად, უმეტეს ძლიერებით და ბედნიერებით ყოფად ჩვენისა, ღვთისგან ჩვენდა ჩაბარებულის, სახელმწიფოისა. ბოძებულია პეტერგოფს აგვისტოს 1 დღესა, წელსა დაბადებიდგან ქრისტესსა ათას ცრხაას ოთხსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა—მეათესა. ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია. «ნიკოლოოზ».

**შანჰაი.** (რეიტერი). რუსეთის ოთხი გემის გაჩერებამ სადგომად სადღის კუნძულების სრუტეში დიდი ამბავი გამოიწვია, «გროზოვოი», რომელმაც ვერ მოახერხა ცინდაოს მისვლა და მომელსაც იაპონელებმა გზა გადაუჭრეს, წავიდა მდინარეზე ზემოდ, წყალ წყალ. „ასკოლდი“ თავად უხტომსკის ბაირაღით ვუზუნს მივიდა, წყალი შესდის. ლოცმანები ამბობენ, სამი გემი რუსეთისა, რომელიც სადღის კუნძულებთან გაჩერდენ, ელობებიან ცინდაოდან [illegible] მენახშირეებსა. იაპონიის ესკადრა, რომელშიაც ერთი ჯავშნიანი გემია, ორი კრეისერი და 4 კონტრნაღმოსანი, უცდიან მდინარის შესართავში, რომ შეიპყრონ მენახშირეები. იაპონიის კონსული ბეჯითად სთხოვს ტაო-ტაის, იარაღი აჰყაროს «ასკოლდსა» და «გროზოვოის», არ იციან, რა გადაწყვეტილებას დაადგენენ. მანამდე კი იაპონელთა გემების მიმოსვლა შეწყვეტილია. რუსის გემები კი, რომელზედაც ადრე იუწყებოდნენ, რომ იმათ ცინდაოში ინგლისის სავაჭრო გემებს გამოართვეს ნახშირი, გზას გაუდგნენ. ნაშუადღევის ორს საათზე გავიდა 48 საათი და «გროზოვოი» კი იარაღ აუყრელია. ტაოტაიმ განუმეორა, წავიდეს, ან იარაღი აიყაროსო. უეჭველია, იარაღს აიყრის. «ასკოლდიდან» დაჭრილები გადაიყვანეს შანჰაის მუნიციპალის საავადმყოფოში. გემს აკეთებენ. არ იციან, სად არის წყალში მავალი საავადმყოფო «მონგოლიითა».

**ტოკიო.** (რეიტერი). საამილიბრომ გამოაცხადა ცნობა «რეშიტელნის» შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, ლეიტენანტმა ტერაშიმამ ჰნახა «რეშიტელნი», რომ იარაღ აყრილი იყო, და როდესაც ელაპარაკებოდა რუსის კამანდირს, გაიგონა, რომ ამან ბრძანება მისცა, გემი აეფეთქებინათ. ამავე დროს კამანდირი ეცა ტერაშიმას და გადააგდო. აფეთქდა წამლის სარდაფი ნაღმოსნის წინა ნაწილში; იაპონელებს ორი კაცი მოუკვდათ.

**ლონდონი.** (რეიტერი). ცინდაოდან დეპეშით იუწყებიან, იქ შეიყარნენ გერმანიის კრეისერები «გერტი» და «განზა» და ბევრი საკანონერო ნავები. ერთი კრეისერი ღუზით არის გაჩერებული «ცესარევიჩის» წინ და მზად არის საბრძოლველად, თუ იაპონელნი თავს დაესხმიან.

**ტოკიო.** (რეიტერი). «მოკაზა» თუმცა სხვა გემებზე ძიელ არის დაზიანებული, მაგრამ მაინც დარჩა ბრძოლის ველზე.—«იაშიმა», «ნისსინა» და «კასუგა» შეაკეთეს და მზად არიან საბრძოლველად.—მოვიცნენ სასებოს 77 დაჭრილი ტოგოს ესკადრისა, ამათში 11 აფიცერია. პრინცი ხიროიასუ-კვაშუ მსუბუქად არის დაჭრილი.—გემს «გაღლიკს» უნახავს გუშინ «ნოვიკი», რომლიც აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად მიდიოდა, ვანდიმენის სრუტესაკენ.

**ჩიფუ.** «რეიტერი» იუწყება დილის 4 საათზე დაიწყო ერთობილი იერიში პორტ-არტურზე.—ცინდაოდან იტყობინებიან, ჯავშნოსანმა «ცესარევიჩმა» ბაირაღი ჩამოუშვა გერმანიის გუბერნატორის თანადასწრებითა.

**პეტერბურგი.** დღეს «რუსეთის საბრანიაში» დიდძალ წევრთა თანადასწრებით გარდაიხადეს სამადლობელი პარაკლისი ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო. ლოცვის შემდეგ თავმჯდომარის ამხანაგმა ტაინი სოვეტნიკმა მარდვინოვმა მიულოცა შეკრებილთ ღვთის მოწყალება, რომელიც მოუვლინა მეფის ოჯახს და მთელ რუსეთის ერს დიდი სიხარული, ამასთან აღნიშნა, რომ «რუსსკოე საბრანიემ» ტახტის მემკვიდრის დაბადებაში უნდა იხილოს ღვთის კურთხევა იმ ძველის-ძველ რუსთა წესწყობილებისა, რომელსაც ადგია «საბრანიე»—დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისს უდიდებულესობასთან 31 ივლისით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ, თანხმად პორტ-არტურიდან 28 ივლისს მოსულ ცნობებისა, იაპონელნი 27 ივლის ღამით 15 საათის ბრძოლის შემდეგ, დიდის ძალით თავდაესხნენ დაგუშანს და სიაოგუშანსა, და 26 ივლისს დილიდან ღამის 9 საათამდე სროლა არ შეუწყვეტიათ. დაიჭირეს ეს მთები და წინ აღარ წამოუწევიათ, ხოლო 28 ივლისს ღამე, დიდი წვიმის დროს, აღმოსავლეთის ფრონტისაკენ წამოვიდენ, მაგრამ ყველგან უკუ აქციეს. ერთსა და იმავე დროს მთელ ფრონტზე მიიტანეს იერიში ვოლჩის მთებიდან დაგუშანამდე, მაგრამ მტერი ყველგან უკუაქციეს, მეოთხე დღეა ციხეს ესვრიან.

**ელისავეტგრადი.** ბირჟის საზოგადოებამ მემკვიდრის დაბადების დღის სახსოვრად გადასწყვიტა გამართოს ყველა წოდებათათვის კომერციული სასწავლებელი.

**სტ. მბოლი.** 31 ივლისს პორტა დასთანხმდა შეერთებულის შტატების მოთხოვნილებაზე და დღეს ამერიკის ესკადრამ ბრძანება მიიღო სმირნიდან გავიდეს.

**ცეტინიე.** რუსეთის წარმომადგენელის განკარგულებით გადაიხადეს მემკვიდრის დაბადების გამო პარაკლისი. დაესწრნენ მთავრინები, მემკვიდრე მთავარი, მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი და დიდ-ძალი ხალხი. სადამოთი ხალხი, რომელსაც მემკვიდრე მთავარი მიუძღვოდა, დადიოდა ქუჩა-ქუჩა მუსიკითა და მოვიდა რუსთა საელჩოსთან.

**ტოკიო.** (ვოლფი) სხვა-და სხვა მოხსენებათაგან რუსის კონტრ-ნაღმოსნების გამო ჩიფუში გამოირკვა შემდეგი: ღამით 29 ივლისს იაპონიის კონტრ ნაღმოსნები დაცურავდენ და ეძებდენ გაფანტულს რუსის ესკადრას, ამ დროს შენიშნეს ნაღმოსანი, როგორც ეტყობოდა რუსისა, რომელიც გაქანებული მიდიოდა დასავლეთისკენ. იაპონელნი გამოეკიდნენ, მაგრამ ნაღმოსანი სიბნელეში მიემალათ. იაპონელებმა დილამდე სძებნეს და ამოაჩინეს, რომ მტრის კონტრ-ნაღმოსანმა თავი შეაფარა ჩიფუში. სადამომდე სანეიტრალო წყლების გარეშე იდგნენ და ტყუილად უცდიდენ რუსის გემის გამოსვლას, მერე კი იაპონიის ნაღმოსნები შევიდნენ ჩიფუში და გაიგეს, რომ ისინი მისდევდნენ ნაღმოსანს «რეშიტელნისა». რადგანაც არა სჩანდა, რომ ის იარაღ აყრილი იყო, ლეიტენანტ ტერაშიმა გაგზავნეს, წინადადება მიეცა რუსის გემის კამანდირისათვის ან გამოსულიყო ნავსადგურიდან, გათენებამდე ან დანებებიყო. კამანდირმა არც ერთი მოთხოვნილება არ მიიღო და ლაპარაკის დროს ბრძანება მისცა თავის მატროსებს გაეფუჭებინათ მაშინები და დაეწყოთ სროლა. შემდეგ მოულოდნელად ეძგერა ტერაშიმას და წყალში გადაიტანა. მეორე რუსმაც გადაითრია წყალში იაპონიის თარჯიმანი, ხოლო დანარჩენებმა იარაღს მიმართეს ხელი. ამ დროს წამლის სარდაფი ააფეთქეს გემ «რეშიტელნისა». იაპონელებს ზარალი მოუვიდათ. შემდეგ «რეშიტელნი» შეიპყრეს იაპონელებმა და გაიყვანეს ნავსადგურიდან. იაპონელებს ერთი მოუკლეს და 14 დაუჭრეს.

**ტოკიო.** (რეიტერი). როგორც „ტაკეშიკი“ დეპეშით იუწყება, კუნძულ ცუსიმასთან კამიმურას ესკადრა შეხვდა ვლადივოსტოკის ესკადრასა 20 მილზე ულსანიდან, კორეის სანაპიროზე, 1 აგვისტოს, დილის 5 საათზე. «როსსიასა» და «გრომობოიზე» ბრძოლის დროს რამდენჯერმე გაჩნდა ცეცხლი. ორთავე კრეისერები ძალიან დაზიანდნენ. ერთი იაპონიის გემი რუსებმა დააზიანეს, იმაზე ორი მოკლეს და 7 დასჭრეს.

**ჩიფუ.** (რეიტერი). «რეშიტელნი» იაპონიის ბაირაღით ბუქსირით მიჰქონდა იაპონიის კონტრ-ნაღმოსანს, თან მისდევდა მეორე გემიც, უნახავთ ელიოტის კუნძულებთან.—იაპონიის კონსულმა გამოაცხადა, იაპონიას განზრახვა არა აქვს რუსის კონტრ-ნაღმოსნის დათმობისა. ბრძოლის ამბები გვიჩვენებენ, რომ «ცესარევიჩს» დიდი წინააღმდეგობა გაუწევია მტრისათვის, იმას ოთხი ჯავშნოსანი შემოხვევია იაპონიისა და ორი კრეისერი და ერთის საათის განმავლობაში სწორედ ჯოჯოხეთის ცეცხლში იყო. ყუმბარა, რომელმაც მოჰკლა ვიტგეფტი, ჯერ მოჰხვდა ზარბაზნის კოშკსა.

3 აგვისტო.

**ტოკიო.** (ბერლინით). ამ უკანასკნელ დღეებში პორტ-არტურთან რამდენიმე გაცხარებული ბრძოლა იყო. იაპონელებმა აიღეს სამი ბატარეია და წაიწიეს თვით ციხესთან. ორთავე მხარე ძალიან დაზარალდნენ შემდეგ იაპონელებმა დაუწყეს სროლა ლანშანის მთიდან, რომელიც ზედ დასცქერია რუსების ბატარეიებსა და ფლოტის სადგომებს.

**ლიაოიანი.** (ბერლინით) როგორც «ბერლინერ ლოკალანცეიგერ»-ი ამბობს, დედაკაცები და ბავშვები გამოდიან ლიაოიანიდან. ვაჭრები დუქნებს კეტენ. შიშობენ, ლიაოიანი დაიცლებაო. გაზეთის კორესპონდენტს ეს შიში უსაფუძვლოდ მიაჩნია ის რჩება ქალაქში. ზოგიერთი სასანიტარო დაწესებულებანი ჩრდილოეთისაკენ გადააქვთ.

**ბერლინი.** რაკი გამოირკვა, რომ რუსის გემებს, რომელიც ცინდაოს დგანან, არ შეუძლიანთ ზღვაში გასვლა, ვადაზე მოვიდა ბრძანება იმათი იარაღის აყრისა.

**მუკდენი.** (საკუთ. კორესპ. როგორც შევიტყეთ, 1 აგვისტოს პორტ-არტურს იერიში იყო. იაპონელნი ყველგან უკუ აქციეს დიდის ზარალითა. ბრძოლას ხელმძღვანელობდა ღვაწლ-მოსილი გენერალი სტესელი. ჯარი კარგს გუნებაზეა. სურსათი ციხეში ბლომადაა. მეციხოვნეთა უფროსმა თავის აღუშფოთებლობითა და ვაჟკაცობით განუმტკიცა ჯარს რწმენა, რომ ძლევა იმათკენ არის.

**მოსკოვი.** სახელოსნო საზოგადოებამ გადასწყვიტა მემკვიდრის დაბადების ღირსსაყოფელად დააფუძნოს სახელოსნო სასწავლებელი და გადასდოს 100 ათასი მანეთი «ნედაიმკების პატივებისათვის. ბირჟის საზოგადოებამ დააარსა თავის სავაჭრო სკოლაში მემკვიდრეს ცესარევიჩის სახელზე 50 სტიპენდია.

**პეტერბურგი.** მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და აგრეთვე მემკვიდრე ცესარევიჩმა, დიდმა მთავარმა ალექსი ნიკოლოზის-ძემ წარსული დღე და ღამე კარგად გაატარეს. ძილი, მადა და ტემპერატურა წესიერი აქვთ. — ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა დროშები მეხუთესა და მეექვსე აღმოსავლეთ-ციმბირის საპიორთა ბატალიონებს. — რაკი შორეულ-აღმოსავლეთში წითელი ჯვრის მთავარ-რწმუნებულნი თხოულობენ, საჭიროა დაღალულ და ავადმყოფ მკურნალთა და ექიმ-სტუდენტების შეცვლაო, აღმასრულებელი კომისია იწვევს ჯარა-ექიმებს, შორეულ-აღმოსავლეთში წასვლის მსურველებს, შემოიტანეთ თხოვნები, აღნიშნეთ თქვენი ადრესი და ზედ დაურთეთ მოკლედ, წინად სად მსახურებდითო. იწვევენ აგრეთვე ექიმ-სტუდენტებს და სთხოვენ თხოვნები წარუდგინონ იმავე კომისიას.

**კიევი.** 2 აგვისტოს არა-ჩვეულებრივს კრებაზედ საბჭომ გადასწყვიტა, აღსანიშნავად სასიხარულო ამბისა დავაარსოთ პირველი ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი ცესარევიჩის ალექსისა, დავაფუძნოთ საყმაწვილო ბაღი, ვაპატიოთ ქალაქს შემოუტანელი გადასახადი და დავურიგოთ ღარიბთ ასი თუმანი.

**ლიაოიანი.** (რეიტერი) როგორც ჩინელები იუწყებიან, კუროპატკინს ოთხასიათასი ჯარის-კაცი ჰყავს. ორთავ მხარეს დიდი ზარალი მიუყვიდათ. როგორც დალნიდან იტყობინებიან, იაპონელებს «რეშიტელნის» შეპყრობის დროს ერთი მოუკლეს და 15 დაუჭრეს. იაპონელნი ხაიჩენთან პოზიციებს ამაგრებენ. ლიაოხის დასავლეთად იაპონელნი არ ჩუნახავთ. დიდი წვიმების გამო მდინარის ხეობა გაუვალი გახდა. თქეშებში მთელი მიდამო უშველებელ ტბად გადააქცია.

**ლონდონი.** (რეიტერი) რუსის გემი, ვგონებთ «პეტერბურგი» შევიდა ნავსადგურ ზაკდენდას სურსათვისათვის, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებმა ნება არ მისცეს გატანისა. შემდეგ გემი კამარანს წავიდა, სადაც აგრეთვე უარი უთხრეს.

**ჩიფუ.** (რეიტერი). 2 აგვისტოს მოსულმა ნავებმა აუწყეს, რომდესაც იმათ პორტ-არტურს დაანებეს თავი 30 ივლისს, ზარბაზნის სროლა კიდევ იყოო, და ეს იერიშის ნიშანიაო. ნავებით მოსულებმა სთქვეს, იაპონიის ფლოტის უფროსმა გაავთხილა რუსები, თუ გემები დაბრუნდებიან ნავსადგურში, ციხეს ლიდიტის ყუმბარებით დაუწყებენ სროლასა.

**ცინდაო.** (რეიტერი) კონტრ-ადმირალი მატუსევიჩი თავში და ფეხში დაიჭრა. ცინდაოს საავადმყოფოში გაუკეთეს აპერაცია, ადმირალმა კარგად გადიტანა და საშიში არა არის-რა. — ჯავშნიანი გემი «ცესარევიჩი» და სამი კონტრ-ნაღმოსანი გერმანიის მოხელეთა განკარგულებაში არიან შესაკეთებლად. ეს გემები ბრძოლაში აღარ მიიღებენ მონაწილეობას. გუბერნატორი წავიდა „ცესარევიჩზე“, რათა შეატყობინოს კამანდირს, რომ საჭიროა გემიდან ბაირაღი ჩამოუშვას და აღარ აუშვას, შეკეთების დროს. ბაირაღი ჩვეულებრივის ცერემონიით ჩამოუშვეს. გუბერნატორმა კონტრ-ნაღმოსნებიც ნახა, საიდამაც ბაირაღები ჩამოუშვეს. ირწმუნებიან რუსის გემები იძულებული გახდებიან, იარაღი აიყარონ. რადგანაც ნავსადგურს გარედ იაპონელთა ძალა სჭარბობს, ისინი სათითაოდ უნდა გამოვიდნენ, ექვსი საათის შემდეგ თითო მათგანი. ფიქრობენ, რომ «დიანამ» და «ასკოლდიმ» ვლადივოსტოკს მისვლა მოახერხესო.

**ნაგასაკი.** (რეიტერი). სასებოს მოვიდა გემ-საავადმყოფო «ეკიომარუ» და მოიყვანა 77 დაჭრილი აფიცერი და ჯარის კაცი იაპონიის ფლოტისა, იმათში პრინც კაჩოც არის.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
30 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88¾ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 388¾ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 258 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 88 ნ. გაყ. |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ზ. თოფურიას**
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
**გულივერის მოგზაურობა**
სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**
შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული
# ქართული რუკა
ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.
ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

„GRAND PRIX“ PARIS 1900.
Т—во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Одеколонъ „Кристаль“

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული-ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ლ ო მ ი ა.



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.
უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა, ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.
შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭიროა რ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.
ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა,** 36—333
P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)

# ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)
ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)
სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.
სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.
**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.
ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.
(14—266—4). ალ. გ. საათაშვილი.



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა
ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)
## ა. ა. თ უ თ ა ე ვ ი ს ა
თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით კალესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.
*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—9)

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი
# ლალაში
დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა, ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**
„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.
ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.
**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.
შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.
**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბელლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.
ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.
მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.
**გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**
(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ 3 августа 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи